ახალი განთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძველეს გული,,

2019 წელი 29 აგვისტო № 8 № 8149

ELFOSBA

AxaliGantiadi@gmail.com

88-ე წელი თქვენთან ერთად!

მეოხებათა შინა სამკრთალისად მვედრებელი, და შეწევნათა შინა უცვალებელი სასოება, ღმრთისმშობელო, სამკრთემან და სიყულილმან ვერ დაგაბრუოლეს, ორთამედ, ვითარცა დედა ეგე ცხორებისა, ცხორებად მიცგვალა, რომელმან დაიმუვალრა სამო მკრთალის ქალწულისა.



88 წელი თქვენთან ერთად! 88-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგრძოვებდა, იბეჭდება რედაქციის ოფოლინეს, ბევრს ვინ ფიქრობდა ყოვითელ ეჩრდილს, ჟმნის ჩვენი ცხოვრების შეფოლამაზებელ მეფიანდეს.

თუ თეთრობთ ჩაინფერებოდა და შინაგნელოვან მეცნეარეს გაზეთის ინფორმაციადან გამოგვეხმაურეთ. გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მეგობარი!

საპელმწიფო ანსამბლი „ბასიანი,, სამთავისში

გვ2.

ცერეთელიძეებზე ტრამფერებული

გვ3.

როგორ ეღნიშნავდნენ დღესასწაულს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

გვ2.

გვ2.

გვ3.

ცვლილი ახალი ცაცწავლოთ წლის ლაწყებამდე

გვ4-5.

გვ2.

8 აგვისტო კასპის მუნიციპალიტეტში

გვ3.

კასპის მუნიციპალიტეტში 2008 წლის ომში დაღუპული გმირები გაიხსენეს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კასპში გმირთა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს და მათი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

ღონისძიება კასპიდან სოფელ აღიანში გაგრძელდა, სადაც თანამებრძოლებთან ერთად 2008 წლის ომს შეწირულ სოსო ბეჟიტაშვილის და მორის მუხათგვერდელის ხსოვნას მიაგეს პატივი.

გმირთა გახსენება სოფელ კოდისწყაროში გელა თიგიშვილის ობელისკთან დასრულდა.

11 წელი გავიდა იმ დღიდან...



2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 170 მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 224 სამოქალაქო პირი დაიღუპა.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" გახდით ჩვენი მეგობარი!

კავთისხევის „მწვანე კინოკლუბი,,

გვ2.

როგორ დავიცვათ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ნიმუშები

გვ6.

ფერისცვალება მეტეხში

გვ2.

XXVI საერთაშორისო ფესტივალი „ჩემი ლამაზი ქვეყანა,,

გვ6.

სოფელ თელიანში

გვ2.

საფეხბურთო სკოლის მესამე თაობა

გვ7.

დაინახე შენი ქვეყნის ისტორია

გვ8.

სახელმწიფო ანსამბლი ,,ბასიანი,, სამთავისში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისის გუმბათოვანი ტაძრის ეზოში საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ "ბასიანი"-ს კონცერტი გაიმართა.

შიდა ქართლის მხარის ადმინისტრაციისა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით, სახელმწიფო ანსამბლი "ბასიანი" შიდა ქართლში გამყოფი ხაზისპირა სოფლებში მოსახლეობის მხარდამჭერ კონცერტებს მართავს.

კონცერტში კასპის მამაკაცთა ფოლკლორული ანსამბლი "მოურავიც" მონაწილეობდა. ანსამბლი "ბასიანი" მაყურებელმა მხურვალე აპლოდისმენტებით გააცილა.

კონცერტს გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე და ფოლკლორის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე ესწრებოდნენ.

ღონისძიებას ორგანიზება გაუწია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურმა.

ფოტოების ავტორი ლაშა ზუბიაშვილი.

ფერისცვალება მეტეხში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის ეზოში გალობის უნივერსიტეტის გუნდმა კონცერტი გამართა, რომელიც ფერისცვალების დღესასწაულს მიეძღვნა.

კონცერტში მონაწილეობდა კასპის მუნიციპალიტეტის აღაიანის სასოფლო კლუბთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლი "თხოთი".

შეხვედრას ესწრებოდნენ სასულიერო პირები, შიდა ქართლის რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე, კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე თამაზ ტატანაშვილი.

გალობის უნივერსიტეტის გუნდი აქტიურ საფესტივალო ცხოვრებას ეწევა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური, მხარდამჭერი ფონდი "ქართული გალობა".

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

,,ახალი გვნიადლი,, იძიებს ყველა ინფორმაციას ყურადღებას რეიონის ყველა-მატიანის შესაჯამებლად. თხოვნით მივმართავთ თანამოქალაქეებს - დადგეთ თქვენი ყველა ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ ყველა ინფორმაცია და ყველა ფოტოები!

,,Erasmus,,-ის მიერ დაფინანსებული პროექტის "ნაბიჯი წინ" ფარგლებში, რომელიც ტარდება ევროპის კავშირის მხარდაჭერით და კასპში კასპის მუნიციპალიტეტის მერიასთან პარტნიორობით, კავკასიის ახალგაზრდული კავშირი ქალაქ კასპში ახორციელებს სოციალური მეწარმეობის კონკურსს. კონკურსში მონაწილე კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის კავკასიის ახალგაზრდულმა კავშირმა ტრენინგების კურსი ჩაატარა. ტრენინგების თემა - სოციალური მეწარმეობის იდეების გენერირება და ბიზნეს-პროექტის მომზადება იყო.

ოთხეტაპიანი პროექტის მესამე ეტაპზე ახალგაზრდებისგან შემდგარმა ოთხმა ჯგუფმა ჟიურის წინაშე საკუთარი ბიზნესიდეები წარადგინა.

"GMT Crafts" გამარჯვებული სოციალური მეწარმე

დამოუკიდებელმა ჟიურიმ შეაფასა თითოეული იდეა და, რა თქმა უნდა გამოავლინა საუკეთესო ჯგუფი ჯიემთიკრაფსტი, რომელმაც უმაღლესი ქულა დაიმსახურა. ჟიურიმ ბიზნესიდეა ორი კრიტერიუმით შეაფასა, პირველი რეალისტობა და მდგრადობა და მეორე დადებითი სოციალური ზეგავლენა კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობაზე.

ჯგუფის წევრების მარიამ ხეჩიკაშვილის, თამარ ჭიღლაძის და გიორგი თოფურიას სოციალური საწარმოს მთავარი პროდუქტი იქნება ხელნაკეთი სუვენირები და აქსესუარები, გამოყენებული ნივთებისგან დამზადებული პროდუქტები.

ბიზნესის სოციალური მიზანია დაასაქმონ პრობაციონერები და ხელი შეუწყონ მათ რესოციალიზაციას. ამ გზით ისინი შეინარჩუნებენ საკუთარი საქმიანობის მდგრადობას და ამავდროულად დიდ წვლილს შეიტანენ მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემის გადაჭრაში. მეოთხე, დასკვნით ეტაპზე კავკასიის ახალგაზრდული კავშირი გამარჯვებულ ჯგუფთან ბიზნესიდეის დახვეწის შემდგომ, კასპის მუნიციპალიტეტის მერიას როგორც პარტნიორს წარუდგენს გრძელვადიან ანგარიშს, ბიუჯეტს, ხარჯთაღრიცხვას და სთხოვს სექტემბრის თვეში მცირე გრანტით დაფინანსებას.

კავთისხევის ,,მწვანე კინოკლუბი,,

კავთისხევის "მწვანე კინოკლუბის" წევრებმა დასუფთავების აქცია ჩაატარეს.

კლუბის წევრები აქტიურად ცდილობენ ხელი შეუწყონ მოსახლეობაში ნარჩენების მართვის კულტურის ჩამოყალიბებას.

"მწვანე კინოკლუბის" წევრებმა ფილმის მორიგ მწვანე ჩვენებაზე დაატიჟეს ბავშვები და მშობლები, რომელიც შაბათს საღამოს 8:30-ზე თვალადის საჯარო სკოლის ეზოში გაიმართა.

ბუნებაზე ზრუნვის, დედამიწის სიყვარულის, გამბედაობისა და თავდაუზოგავი სიმამაცის შესახებ სასაუბროდ, ახლაც საოცარი ფილმი წარმოადგინა - "მწვანე კინოკლუბმა."

იმედია, კავთისხევის "მწვანე კინოკლუბს" სხვა სკოლის მოსწავლეებიც მიბაძავენ და იზრუნებენ გარემოს დაცვაზე. თუ არა ჩვენ ვინ იზრუნებს ჩვენს მწვანე გარემოზე.

სოფელ თელიანში

სოფელ თელიანში სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტი ითვალისწინებს სასმელი წყლის სათავე ნაგებობაზე წყალშემკრები დრენაჟის, საქლორატოროს, სადარაჯო ჯიხურის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობას, ასევე 800 მ3 ტევადობის რეზერვუარის მშენებლობას.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულს "სპეცჰიდრომშენი" აწარმოებს, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდება.

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის ღირებულება 1 289 000 ლარია. შესრულებული სამუშაოების შედეგად სოფლის მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება.

ქერუბიმებზე უპატიოსნესი

რიგორ აღნიშნავდნენ დღესასწაულს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმიდა სამების შემდეგ ღვთისმშობელი მარიამი იდიდება, როგორც ქერუბიმებზე უპატიოსნესი და სერაფიმებზე აღმატებული. ამიტომ, ეკლესია განსაკუთრებულ პატივს მიაგებს დედას ღვთისას.

მარიამობა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია. ეკლესია განსაკუთრებულ პატივს მიაგებს დედას ღვთისას და 28 აგვისტოს (ძვ. სტ. 15 აგვისტოს) მარიამობას, ანუ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებას მთელი თავისი დიდებულებით აღნიშნავს.

ღვთისმშობელი ქალწული უფლის ზეცადამაღლების შემდეგ მეჩვიდმეტე წელიწადს იერუსალიმში, სიონის მთაზე, წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში აღესრულა. თავად იესო ქრისტემ მიიღო მისი სული და ხორციელადაც გაიყვანა ამ ქვეყნიდან.

არსებობს რამდენიმე მოსაზრება, რომელთაგანაც ყველაზე სარწმუნოა, რომ ღვთისმშობელმა იცოცხლა 72 წელიც და დაახლოებით ქრისტეს დაბადებიდან 57 წელს გარდაიცვალა, როგორც ამას ეპიფანე კვიპრელი და გიორგი კედრენე გადმოგვცემენ.

ზუსტად როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული, უცნობია, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი უკვე არსებობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. პირველი საუკუნიდანვე ეკლესია შეწევნას სთხოვს და ადიდებს მას.

დედაღვთისა ყველას ანუგეშებს, ვინც მას მიმართავს.

ჩვენთან მიჩნეულია, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. - წმიდაო მარიამ, წმიდაო ქალწულო, გადააფარე შენი მფარველი კალთა შენს წილხვედრ ქვეყანას და დაგვიფარე ჩვენ ურწმუნოთაგან, - დაახლოებით ასე ლოცულობდნენ ქართველები საუკუნეების მანძილზე და ასე ვლოცულობთ ახლაც. ამ ლოცვისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წყალობით არსებობს დღემდე პატარა, ქრისტიანული ქვეყანა, რომელსაც სრულიად სხვა რჯულის ძლიერი სახელმწიფოები ოდითგან გარს ერტყა.

საინტერესოა როგორ აღნიშნავდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ღვთისმშობლის მიძინების დღეს, არის თუ არა მსგავსება და განსხვავება? საჭირო პასუხები მივიღეთ წიგნში - "ქართული ხალხური და საეკლესიო დღესასწაულები."

მოგეხსენებათ, მარიამობის დღესასწაულს წინ ორკვირიანი მარხვა უძღვის. მარხვა ხანმოკლე, მაგრამ მძიმეა და ხალხი მას დიდმარხვის ნაგლეჯს უწოდებდა. მარიამობა მთელ საქართველოში დიდი უქმე იყო.

✦ რაჭაში ამ დღეს, დილით ადრე ყველიან ან ქონიან განატეხს აცხობდნენ და სანთელს ცეცხლში აკმევდნენ. დიასახლისი, რომელსაც ხელში განატეხი და ღვინის ზედაშე ეჭირა, ილოცებოდა და მარიამობის ძალასა და მადლს მშვიდობას და მომავალი მარიამობისთვის კარგად ყოფნას შესთხოვდა. განატეხს ოჯახის ყველა წევრი მიირთმევდა. სადილისთვის საკურთხს მიცვალებულის მოსახსენიებელ სუფრას ამზადებდნენ, რომლისთვისაც შვიდყველიან ან ქონიან სულის პურს აცხობდნენ, შაშხს და ქათამს ხარშავდნენ.

სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო 1-2 კვერცხი, ლავაში და ერთი სანთელი. თუ ოჯახს ახალგარდაცვლილი მიცვალებული ჰყავდა, ცხვარი უნდა დაეკლა, მეტი პური გამოეცხო და სუფრა მღვდელს ეკურთხებინა.

✦ ლეჩხუმში დიასახლისი დილას ადრიანად ეზოს გვიდა, სამ სულის პურს აცხობდა, ქათამს კლავდა ან შაშხს ხარშავდა, ლავაშს აცხობდა, სანთლებს ჩამოქნიდა, რათა მიცვალებულისთვის სუფრა წაედგა, ანუ გაეშალა. დიასახლისი ღვინით ილოცებოდა და მარიამობის გამჩენ ძალას მიცვალებულების ცხონებას და მისი შთამომავლობის კარგად ყოფნას შესთხოვდა. ეს დღე განსაკუთრებით სოფელ ლესინდის დღეობა იყო. იქ დიდძალი საქონელი იკვლებოდა. ერთხელ წვრილ-წვრილ საქონელთან ერთად 20 ხარიც კი დაკლულა. სოფელში ამ დღეს დიდი სტუმრიანობა სცოდნიათ.

უზარმაზარი სუფრები იშლებოდა, რომლებიც სამ დღეს არ ლაგდებოდა. ხალხი ერთმანეთთან დადიოდა სტუმრად, მაგრამ ღამეს აუცილებლად მთავარი მასპინძლის ოჯახში ათევდნენ.

მარიამობისთვის შეთქმული საკლავი სალოცავში მიჰყავდათ, მიჰქონდათ ჩამოქნილი სანთელი და ფული. მღვდელი საჯაროდ აცხადებდა, ვინ რა მიიყვანა თუ მიიტანა სალოცავში.

✦ გურიაში ამ დღეს ლხინი იმართებოდა და მარიამობის დღესასწაულს, სავარაუდოდ, წარმართობის გავლენით, თაგვმარიობას, ყვავმარიობას და ჩიტმარიობასაც უწოდებდნენ.

✦ სამეგრელოში მარიობას ანუ მარიამობას მარაშონას/მარაშინას უწოდებდნენ. ეს მიცვალებულთა მოხსენიების დღეც იყო. ახალი მიცვალებულის პატრონი მარიამობამდე ახალ ხილს ეზოშიც კი არ მოწყვეტდა. სამეგრელოშიც ის წესები სრულდებოდა, რომლებიც დანარჩენ საქართველოში ჭიაკოკონობის დროს. თუ მარიამობა მარხვის დღეს დაემთხვეოდა, სტუმრებს თევზით უმასპინძლდებოდნენ და ლხინს ხორცით მეორე, სახსნილო დღეს აგრძელებდნენ.

✦ კახეთში მარიამობას საყოველთაოდ ცნობილი, აწყურის წმინდა გიორგის დღესასწაული იმართებოდა.

მლოცველი თეთრი გიორგის ეკლესიაში წინადღეს ან უფრო ადრე მიდიოდა. იქ იკრიბებოდნენ მთელი კახეთიდან, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლიდან, ერწოთიანეთიდან... წმინდა გიორგის ეკლესიაში მარიამობას დღესაც ბევრი ხალხი მიდის. ეკლესიაში გარკვეული რიტუალი ტარდებოდა. მლოცველები თავდაპირველად ტაძარს მარჯვნიდან მარცხნივ სამჯერ ან შვიდჯერ შემოუვლიდნენ. წინ ქალები მიდიოდნენ, უკან მამაკაცები.

ორივე გუნდი რიგრიგობით გალობდა დიდებას: დიდება და ღმერთსა დიდება, წმინდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო. აქ, ამ სალოცავში, როგორც სხვაგან, მონა ქალები იყრიდნენ თავს. მიიჩნეოდა, რომ ამ მონა ქალებს ხატი ირჩევდა და ისინი ხალხს ღმერთის, წმინდანების, სალოცავების ნებას გადასცემდნენ, თან ხალხის ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას შესთხოვდნენ. მათ თავზე თეთრი თავსაფარი წაეკრათ, თეთრი სამოსი ეცვათ, ფეხშიშველები იყვნენ და ზოგჯერ კისერზე თეთრი გიორგის ეკლესიის ჯაჭვი ეკიდათ. ისინი ეკლესიას დაჩოქილები უვლიდნენ გარშემო, თან გალობდნენ და კედლებზე ანთებულ სანთლებს აკრავდნენ. ერთი მონა ქალი კვირისთავით ბამბის ძაფს ართავდა და ეკლესიას გარშემო ახვევდა. რომელიმე მათგანი კი ზოგჯერ შესასვლელი კარის წინ დაეცემოდა და მღვდელს ან მლოცველს, რომელსაც ეკლესიაში შესვლა უნდოდა, მისთვის უნდა გადაებიჯებინა. ხალხს სალოცავში შესაწირი ცხვარი მიჰყავდა, რომელსაც დაკვლის წინ მღვდელი სანთლით ბალანს შეუტრუსავდა და ამბობდა: წმიდაო გიორგი, შეიწირე საღმთო მონისა შენისა და შემწირველის სახელს წარმოთქვამდა.

✦ თუშეთში მარიამობას ზოგან ლუდსაც ადუღებდნენ და საზიარო საკლავსაც ყიდულობდნენ, მაგრამ სუფრა ძირითადად სახლში იშლებოდა. ეს დღე მიცვალებულთა დღე იყო. ყველა ოჯახი მიცვალებულისთვის სუფრას ამზადებდა, სოფლის საჯარეზე გამოიტანდა და ერთად მოიხსენიებდნენ გარდაცვლილთა სულებს. თუ ვინმეს იმ წელს მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა გარდაცვლილი, სტომიან პურს აცხობდა და სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, ბავშვებს ურიგებდა.

✦ ფშავში და ხევსურეთში მარიამობა პატარა დღეობად მიაჩნდათ და ამ დღეს იქ განსაკუთრებული წესები არ სრულდებოდა.

✦ გუდამაყარში კი, საერთო საგუდამაყრო სალოცავის - პირიმზე-ფუძის ანგელოზის დღეობა იმართებოდა. ხალხი ძირითადად იქ მიეშურებოდა. გადმოცემით, პირიმზე და ფუძის ანგელოზი დაძმანი არიან. პირიმზე სოფელ ჩოხშია, ფუძის ანგელოზი კი ხევსურეთში. თუ პირიმზეს დღეობა შუაკვირაში იქნებოდა, ანუ მარიამობა შუა კვირას დაემთხვეოდა, მლოცველი გუდამაყრიდან ხევსურეთში მომდევნო კვირის პარასკევს მიდიოდა. ახოობაზე, ანუ ფუძის ანგელოზობაზე საკლავი შაბათ დღეს იკვლებოდა. ხალხი პირიმზეს ცისნაპირამდე მოარულს, უყმო ყმის მშველელს ეძახის, ვინც რა უნდა სთხოვოს, ყველას მშველელიაო. თურმე, ძველად ხევსურეთში კერპები ხალხს სალოცავად არ უშვებდნენ. ფხიტურზე ყოფილა პირიმზე.

ღვთის შვილებიდან მხოლოდ ის შებრძოლებია კერპებს და ბრძოლის შემდეგ ამ ადგილს საგუბია დარქმევია. მლოცველები პირიმზეში ღამისთევით მიდიან და დიდძალი საკლავი (ცხვარი, კურატი) მიჰყავთ. ხატში დღემდე მიაქვთ ქადასანთელი, დეკანოზი მიმტანს ლოცავს და სანთელს ანთებს. ქადას სამწყალობნოს ეძახიან, რომელსაც ძველად მთლიანად დეკანოზს უტოვებდნენ, ახლა სახლში მიაქვთ.

დეკანოზს ზოგჯერ ფულსაც აძლევდნენ. დეკანოზი საკლავზეც ილოცებოდა. ამ დროს ხატის დროშა იყო გამობრძანებული. ყოველი საკლავის დაკვლაზე დროშას შეარხევდნენ და ზარი ირეკებოდა. იქ მყოფნი პირით აღმოსავლეთისაკენ დგებოდნენ, დეკანოზი ანთებული სანთლით საკლავს ბალანს შეუტრუსავდა და დაკლავდა, პატრონი კი ატყავებდა.

ამ დღეს პირიმზეში ბავშვებიც მიჰყავდათ და ხატში მიბარების წესს ასრულებდნენ. ოჯახს ამჯერადაც დეკანოზთან უნდა მიეყვანა საკლავი.

დეკანოზი დაილოცებოდა, საკლავს დაკლავდა და თუ ბავშვი ბიჭი იყო, საკლავის სისხლით ჯვარს შუბლზე გამოუსახავდა, თუ გოგონა იყო მარჯვენა ხელისგულზე. როდესაც ხატში საკლავის ხორცი გამზადდებოდა, იშლებოდა სუფრა და იწყებოდა ლხინი, ცეკვა-სიმღერა, სადღეგრძელოები, ერთმანეთის გადაპატიჟება. ამ ხატობაზე ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ.

✦ მთიულეთში მარიამობა საერთო დღეობა იყო. ერთი სათემო საკლავი იკვლებოდა, საერთო სათემო წესები სრულდებოდა და სუფრაც ერთი იყო ყველასთვის.

✦ ხევში მარიამობა ამ კუთხის მთავარი სალოცავის - გერგეტის სამების დღესასწაულია.

მარიამობაზე გერგეტში დღემდე მთელი ხევიდან მიდიან. მლოცველები თავს იყრიდნენ რუსები, ბერძნები და სხვები. წირვა-ლოცვის გარდა, იწირებოდა საკლავი, რომელსაც დეკანოზი კლავდა და დოღიც იმართებოდა.

საქართველოში ღვთისმშობლისადმი მრავალი დღესასწაულია მიძღვნილი, რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანესი ღვთისმშობლის მიძინების დღეა.

ცვლილება ახალი ცხოვრება ცხოვრებაში წლიან ლაწყებამდე

მიმდინარე და დაგეგმილი სიახლეები განსაკუთრებით საინტერესოა სასწავლო პროცესის განახლების წინ, წელს როგორია ახალი სასწავლო წლის პერსპექტივა?

ჩვენს კითხვებს პასუხობს კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ნათია ილურიძე.

- ნათია ეს პირველი ახალი სასწავლო წელია რესურსცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, როგორია თქვენი მოლოდინი?

- მივიღე ცხოვრების ძალიან რთული და საინტერესო გამოწვევა. საგანმანათლებლო სფეროში მუშაობა ნიშნავს იცნობდე და იცავდე ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს, როგორიც გახლავთ: მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელისშეწყობა.

ჩემი აზრით განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმატებულია, როდესაც გაცნობიერებული გვაქვს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა არ გულისხმობს ხარისხის მხოლოდ შემოწმებას, ის დახმარებასთან ერთად ქმნის ერთობლივ სისტემას. ხარისხთან დაკავშირებული საერთაშორისო კვლევები გვაჩვენებს, რომ შეუძლებელია ეფექტური ინტერვენციების შემუშავება და ამოქმედება, თუ განათლების სისტემის მოდელს გავიაზრებთ ცვლილებების კონტექსტისა და მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების გარეშე. ხარისხი რომ რეალურად გაუმჯობესდეს, საჭიროა ამოქმედდეს დივერსიფიცირებული წყაროს, ადრესატისადამი ზნის შესაბამისი დახმარების, შეფასების, კვლევის სისტემა. ეს კი გულისხმობს, როგორც მინიმუმ, მკაფიო მიზნებს, შედეგებს, ვადებს, რესურსებსა და ჩართულობის გზების არსებობას, ამიტომ მიმაჩნია, რომ რესურსცენტრს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ეფექტური კომუნიკაცია თითოეულ სკოლასთან, მათი მხარდაჭერისა და სწორი კონსულტირების, სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

- ნათია, როგორ ჩაიარა სამეურვეო საბჭოს არჩევნებმა?

- მოგეხსენებათ, რომ 17 ივნისს საქართველოს საჯარო სკოლებში თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოს - სამეურვეო საბჭოს არჩევნები ჩატარდა, რომლის ორგანიზებისა და ჩატარების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, არჩევნების პროცესზე დაკვირვება საგანმანათლებლო რესურსცენტრმა კასპის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაზე განახორციელა. ყველა საჯარო სკოლა დაკომპლექტდა, მეორე ტური არსად ჩანიშნულა.

სამეურვეო საბჭოში მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მშობლების არჩევა 3 წლის ვადით მოხდა. ყველა სამეურვეო საბჭოს ვუსურვებ ეფექტურ და ნაყოფიერ მუშაობას.

- საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია საპენსიო ჯილდოს გაცემის პერსპექტივამ, თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ნოვაციას?

- განათლების რეფორმის ფარგლებში საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებმაც ნებაყოფლობითი არჩევნის საფუძველზე პროფესიიდან გასვლა გადაწყვიტეს, სახელმწიფოსგან ერთჯერად ფულად ჯილდოს - ორი წლის ჯამურ ხელფასს მიიღებენ.

მოგეხსენებათ, რომ საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის ფულადი ჯილდოს გადაცემის წესი, პირობები და ვადები უკვე დადგინდა. ფულად ჯილდოზე განცხადების დაწერის უფლება აქვს საჯარო სკოლის პრაქტიკოს მასწავლებელს, რომელიც საპენსიო ასაკს მიაღწევს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფულადი ჯილდოს ოდენობა დაანგარიშდება მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის 126/ნ ბრძანებით განსაზღვრული პრაქტიკოსი მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოსა და მასზე გათვალისწინებული დანამატების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი ასწავლის ერთზე მეტ საჯარო სკოლაში, ფულადი ჯილდოს აღების მიზნით მან უნდა შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა ყველა სკოლასთან.

ფულადი ჯილდო გამოითვლება თითოეულ საჯარო სკოლასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ფულადი ჯილდოს ოდენობა შეადგენს ბოლო 3 თვის განმავლობაში მასწავლებლის შრომის ანაზღაურების საშუალო არითმეტიკულს გამოკლებული საშემოსავლო და გამრავლებული 24-ზე.

შრომის ანაზღაურება მოიცავს დანამატებს (სადამრიგებლო, კლას-კომპლექტის, მთის და სხვა). მასწავლებელს, რომელსაც 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე შეჩერებული აქვს შრომითი ურთიერთობა, ფულადი ჯილდო მიეცემა ნამუშევარი ბოლო 3 თვის განმავლობაში შრომის ანაზღაურების გათვალისწინებით.

ჯილდოს მისაღებად საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებელი წერს განცხადებას, ხოლო საჯარო სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ინფორმაციას პრაქტიკოსი პენსიონერი მასწავლებლების შესახებ, რომლებმაც სკოლის დირექტორს განცხადებით მიმართეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და ფულადი ჯილდოს მიღების თაობაზე.

ჯილდოს მსურველი მასწავლებლების განაცხადის გაკეთების პირველი ეტაპი იყო 2019 წლის 10 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით.

თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი ფულადი ჯილდოს მიღების შემდეგ ხელშეკრულების შეწყვეტიდან 2 წლის განმავლობაში კვლავ გადაწყვეტს საჯარო სკოლაში მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებას, ვალდებულია დააბრუნოს ფულადი ჯილდო სრული ოდენობით და დააკმაყოფილოს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები (მუხლი 213, მასწავლებლის განათლება).

სამინისტროს მიერ საჯარო სკოლებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფა განხორციელდება ორ ეტაპად, საჯარო სკოლა ვალდებულია, დაფინანსების ფარგლებში წარმოქმნილი აუთვისებელი თანხა დააბრუნოს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

საპენსიო ასაკს მიღწეულმა მასწავლებლებმა მართლაც შექმნეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ისტორია და აღზარდეს არაერთი თაობა. ჯილდო კი ერთ-ერთი ფორმაა, იმისათვის რომ სახელმწიფომ მადლიერება გამოხატოს მათი მრავალწლიანი ფასდაუდებელი პედაგოგიური საქმიანობის მიმართ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეფორმის შედეგად, ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრები შემოვიდნენ. აქვე, მოგახსენებთ, რომ ქალბატონ ლეილა ვარდოშვილს, რომელიც 48 წელია სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი გახლავთ და მიიღო გადაწყვეტილება პროფესიული საქმიანობიდან გასვლის შესახებ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

- ახალ საწავლო წელს განხორციელებად სიახლეთაგან ალბათ უმნიშვნელოვანესია რომ „დედა ენა" ბრუნდება. რეალურად რა ხდება?

- 2019-2020 სასწავლო წლიდან იაკობ გოგებაშვილის დედა ენა სკოლებში ადაპტირებული ვერსიით დაბრუნდება და არსებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი გახდება. სახელმძღვანელოს ადაპტირებული ვერსია საქართველოს პარლამენტის ინიცირებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა და მას ყველა საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლე უფასოდ მიიღებს.

მოგეხსენებათ, ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2013 წელს მიენიჭა, ხოლო ეროვნული კატეგორია 2014 წელს განესაზღვრა.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, სამინისტრომ ქართული საანბანე სახელმძღვანელო იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით მოამზადა.

იაკობ გოგებაშვილის დედა ენის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, შეიქმნა ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც, ერთი მხრივ, ეროვნულ და კულტურულ საფუძველს, ხოლო, მეორე მხრივ, სწავლების თანამედროვე მეთოდებს დაეფუძნა. დედა ენის უკანასკნელი გამოცემის ადაპტირება მოხდა ისე, რომ შენარჩუნდა ავტორის ძირითადი მეთოდები, პრინციპები, მასალა და თანამედროვეობას დაუახლოვდა. არქაული ლექსიკა ნაწილობრივ შეიცვალა, თუმცა ძირითადი ლექსიკა სახელმძღვანელოში დარჩა. სასიხარულოა, რომ სურვილის შემთხვევაში, კერძო სკოლასაც მიეცა საშუალება, უფასოდ მიიღოს „დედა ენა" და გადაეცეს ყველა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეს.

- მოხდება თუ არა ხელფასების ზრდა, მასწავლებელთა გამოცდები - 2019 როგორ წარიმართა, რა შედეგები დაიდო?

- მოგეხსენებათ, რომ პრაქტიკოს მასწავლებელთა და მასწავლებლობის მსურველთა 2019 წლის გამოცდები დასრულდა. დღეის მდგომარეობით სიახლე ის გახლავთ, რომ მათ, ვინც საჭირო კრედიტები ზაფხულში ვერ დააგროვა, ნოემბერში განმეორებით გამოცდაზე გასვლის საშუალება მიეცემათ. ამრიგად, ყველა პრაქტიკოსმა მასწავლებელმა, რომელიც სტატუსის ცვლილების გზაშია, 2019 წლის ბოლომდე უნდა შეიცვალოს სტატუსი. იმ პრაქტიკოს მასწავლებელს (გარდა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/ სექტორების პრაქტიკოსი მასწავლებლისა), რომელიც 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით ვერ მოიპოვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსს, საჯარო სკოლის დირექტორი საჭიროების შემთხვევაში გაუფორმებს ვადიან შრომით ხელშეკრულებას, ხოლო აღნიშნულ პოზიციას გამოაცხადებს ვაკანტურად.

ვაკანტურ პოზი

დასასრული გვ-5.

სკოლები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე

დასასრული.

ციაზე კონკურსის წესით დასაქმდება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს (ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 213 მუხლით მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილი მოთხოვნები).

ვაკანტურ პოზიციაზე შერჩეული პირის დანიშვნის შემდეგ პრაქტიკოს მასწავლებელს ვადიანი შრომითი ხელშეკრულება შეუწყდება. განათლების რეფორმის ფარგლებში იგეგმება ხელფასების ზრდა ყველა მასწავლებლისთვის, რომელთაც ექნებათ უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსი.

სახელფასო ზრდა ასევე შეეხებათ რესურსცენტრების ხელმძღვანელებს, სკოლების დირექტორებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

- კარგია რომ, მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან ერთად, ახორციელებს პროგრამას "ჩემი პირველი კომპიუტერი". რა მდგომარეობაა წელს?

- პროგრამის ფარგლებში კომპიუტერებს მიიღებენ: საჯარო სკოლის პირველკლასელები და საბაზო საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებულები, რომელთა ქულა დამრგვალების გარეშე 10 გახლავთ.

კომპიუტერებს ასევე მიიღებენ ყველა საჯარო სკოლის პირველკლასელთა ის დამრიგებლები, რომლებსაც "ჩემი პირველი კომპიუტერის" ფარგლებში, ბოლო ორი წლის განმავლობაში არ მიუღიათ პორტაბელური კომპიუტერები (ნოუთბუქები). უნდა აღინიშნოს, რომ ახალ სასწავლო წელს, კომპიუტერს მიიღებს 465 პირველკლასელი.

ვისარგებლებ შემთხვევით და მივულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველას - მოსწავლეებს, მშობლებს, პედაგოგებს. ვისურვებდი, რომ ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობიანი და წარმატებების მომტანი თითოეული თქვენგანისათვის.

განსაკუთრებით ვეფერები და ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას ჩვენს პირველკლასელებს, რომლებიც სულ მალე სკოლის კარს შეაღებენ, რომ სრულყოფილი ცოდნა მიიღონ. ამ ცოდნით კი, როცა დაფრთიანდებიან, ჩვენს ქვეყანას ემსახურონ და ღირსეული მამულიშვილობა გაუწიონ სამშობლოს.

- რა ძირითად ცვლილებებს უნდა ველოდოთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში?

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს: ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ბ) გარემოს დაცვა; გ) ჯანსაღი ცხოვრება; დ) სამოქალაქო უსაფრთხოება; ე) კონფლიქტების მართვა; ვ) ფინანსური წიგნიერება; ზ) კულტურული მრავალფეროვნება; თ) ადამიანის უფლებები; კლასის გაყოფა დასაშვებია შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე) და უცხოური ენები, თუ სკოლას აქვს შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობა. ასევე, კლასის გაყოფა დასაშვებია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში (სამინისტროსთან შეთანხმებით). გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე სკოლებს კი შეუძლიათ კლასი გაყონ იმ საგანშიც/საგნებშიც, რომელსაც აძლიერებენ.

გაყოფა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 25-ს, ხოლო უცხოურ ენაში - 20-ს. უცხოურ ენებში დასაშვებია განაყოფები დაკომპლექტდეს მოსწავლეთა ენის ფლობის დონის გათვალისწინებით ან ჯგუფები და განაყოფები დაკომპლექტდეს მეორე და მესამე ენების არჩევანის შესაბამისად;

საჯარო სკოლა ვალდებულია სასკოლო საათობრივი ბადით გათვალისწინებული საათები პირველ რიგში გაუნაწილოს კონკრეტული საგნის უფროს და წამყვან მასწავლებლებს და კონკრეტულ საგანში საათები შეუვსოს სრულ დატვირთვამდე (15 საათის ჩათვლით), ასეთის არსებობის შემთხვევაში;

I-IV კლასების იმ პედაგოგებს, რომელთაც ფიზიკური აღზრდის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ან მუსიკის სწავლების მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება აქვთ, მიეცეთ უფლება ასწავლონ კონკრეტული საგანი დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში, თუ სკოლას არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი (გამოცდით დადასტურებული ან დიპლომირებული სპეციალისტი); ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საათობრივი ბადე, სურვილისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეადგინოს შემდეგი სამი მოდელის მიხედვით: მოდელი I - საათობრივი ბადე, რომელიც მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას; მოდელი II - საათობრივი ბადე, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის წლიურ ჯამურ საათებს და რომელშიც კვირეული დატვირთვა გადანაწილებულია სკოლის შეხედულებისამებრ სემესტრების/წლის მანძილზე; ამასთანავე: 1. საჯარო სკოლამ თავისი გადაწყვეტილება უნდა დაასაბუთოს და წარადგინოს სამინისტროში. 2. სკოლა უფლებამოსილია, მეორე მოდელი გამოიყენოს ერთ კონკრეტულ კლასში (და არა ყველა პარალელურ კლასში), მინიმუმ ერთ და მაქსიმუმ ყველა საგანში, ერთი სემესტრის ან მთელი აკადემიური წლის მანძილზე.

მოდელი III - საათობრივ ბადეს შეიმუშავებს თავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება თავისი შეხედულებისამებრ და სამინისტროში წარადგენს შესაბამის დასაბუთებას, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას;

საჯარო სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. აღნიშნული არ ეხება იმ საგანს/საგნებს, რომლებშიც სკოლებს გაძლიერებული სწავლების სტატუსი აქვთ მიღებული.

- მუნიციპალიტეტში წელს თუ ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორ მდგომარეობაშია სკოლები?

— სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს: სოფელ ზემო ხანდაკის, ახალქალაქის, იგოეთის, ლამისყანის, ქალაქ კასპის №2 და №4 საჯარო სკოლებში. პრიორიტეტები გახლავთ: სველი წერტილების მოწყობა, ადაპტირებული გარემო და ეზოს შემოღობვა - სკოლებში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით. სასიხარულოა, რომ 2019-20 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში ინტერვენცია განხორციელდება კასპის მუნიციპალიტეტის შემდეგ სკოლებში: ოქმის, კავთისხევის, თვალადის საჯარო სკოლებში. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პროექტში 2019 წლიდან ჩართული გახლავთ კასპის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლა. აქვე მოგეხსენებათ, ახალი სკოლის მოდელი განათლების სისტემაში დაგეგმილი რეფორმის ნაწილია, რომლის მიზანია: 1. ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შეტანა სწავლების პროცესში; 2. კრიტიკულ აზროვნებაზე, პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება; 3. მოზარდი ფლობდეს 21-ე საუკუნის გამოწვევებისთვის საჭირო ცოდნას და უნარ-ჩვევებს;

ასევე სიხარულით გაცნობებთ, რომ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროში უკვე დაიწყო სკოლის მშენებლობის პროცედურები. ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სკოლა მალე უმასპინძლებს მოსწავლეებს. სკოლა გათვლილი იქნება 60 მოსწავლეზე.

2020 წელს ასევე დაიწყება მუნიციპალიტეტში ქვგომსა და წინარეხში სკოლების მშენებლობა. ვიმედოვნებთ, რომ მალე ვიხილავთ ახალ, უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოს ჩვენი ახალგაზრდებისათვის.

სასიხარულოა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით პერმანენტულად მიმდინარეობს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საჯარო სკოლებში, ამავდროულად ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, შემუშავებულია სოფლად მდებარე მცირეკონტინგენტიანი სკოლების განვითარების კონცეფცია და დაწყებულია მშენებლობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

- იქნებ აგვიხსნათ ბრიკეტის არსი და როგორ მიმდინარეობს სკოლების ბრიკეტებით მომარაგება?

- კასპის მუნიციპალიტეტის 19 საჯარო სკოლა შეშის ნაცვლად მომარაგდა ბრიკეტით, ტყის ეკოსისტემის შენარჩუნების მიზნით. ბიომასის ბრიკეტი დაპრესილი, ძირითადად, აგურისებური ან ცილინდრული ფორმის მყარი ბიოსაწვავია. იგი მზადდება გამომშრალი ხის ნაფოტების, ტყისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენებისაგან.

ბრიკეტების გამოყენება შესაძლებელია საქართველოში გავრცელებული ნებისმიერი ტიპის შეშის ღუმელში, რაც დადებითი ფაქტორია ტრადიციული საშეშე მერქნის ჩასანაცვლებლად.

- ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ რას გვეტყვით მომავლის მიზნებზე, საერთო სტრატეგიაზე?

- სასწავლო პროცესისა და გარემოს მონიტორინგი, რეკომენდაციების შემუშავება სკოლებისათვის, მშობელთა ინფორმირებულობის გაზრდა, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის დანერგვა და გაძლიერება, სამინისტროს მიერ სახელმწიფო ენის განვითარებისა და გავრცელების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების, სპეციალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება სამოქმედო ტერიტორიაზე, სამინისტროს მიერ შემუშავებული ნოვაციების და პროგრამების დანერგვა არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, შესაბამისი ღონისძიებების (ტრენინგების, სემინარების და სხვა) ორგანიზება ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით, მათთვის პროფესიულად მნიშვნელოვანი რესურსების დროულად და თანაბრად განაწილებას; სსსმ მოსწავლეებისათვის ინკლუზიური განათლების მეთოდების დანერგვა; სასკოლო ცხოვრების ზრდა და განვითარება, თანამშრომლობითი კულტურის დანერგვის ხელშეწყობა, სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა.

- მიმდინარე რეფორმების ფონზე სკოლებში ვაკანსიების მაძიებელთა დიდი რაოდენობა ფიქრობს სკოლებში სამუშაო ადგილის რეალურად მოძებნას ...

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდს www.pedagogi.ge/ დაემატა ახალი ბლოკი „მასწავლებლობის მაძიებელი". მასწავლებლობის მსურველს აქვს შესაძლებლობა, დარეგისტრირდეს აღნიშნულ პლატფორმაზე და მონიშნოს მისთვის სასურველი სკოლა/სკოლები საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. სკოლა ვალდებულია, pedagogi.ge ზე განათავსოს ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ. ქალაქის სკოლებისთვის სავალდებულოა კონკურსის გამოცხადება 22 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო სოფლის/დაბის სკოლებისთვის - სავალდებულოა კონკურსი გამოცხადდეს 22 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით.

ვუსურვებ ყველა პედაგოგს, მაძიებელს ნაყოფიერ, საინტერესო და შემეცნებით დღეებს სკოლაში.

საყურადღებოა, რომ დადგინდა ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების, ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. რეგისტრაციის ვადა: 26 აგვისტო-2 სექტემბერი, გამოცდების ჩატარების ვადა: 4 სექტემბერი - 13 სექტემბერი.

XXVI საერთაშორისო ფესტივალი ,,ჩემი ლამაზი ქვეყანა,,

ერთკვირიანი "საგასტროლო" მოგზაურობიდან დაბრუნებული მოსწავლეები ჯერ ისევ დაუვიწყარი შთაბეჭდილებების ქვეშ არიან. მართალია, ეს არ იყო მათთვის პირველი და ერთადერთი გასვლითი კონცერტი გარეთ, მაგრამ ამჯერად, ალაიანელმა ბავშვებმა ნამდვილად გააოცეს არა მარტო უცხოელები, ჩვენს რაიონსაც საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი.

საქმე ის გახლავთ, რომ მიმდინარე წლის 1-6 ივლისის ჩათვლით საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის ორგანიზებითა და ხელშეწყობით ალაიანის სასოფლო კლუბთან არსებული ქართულ-ხალხურ საკრავთა ანსამბლი "თხოთი", რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, ღირსების მედლისა და ღირსების ორდენის კავალერი თამაზ დურგლიშვილი, მიწვეული იყო ხალხური შემოქმედების XXVI საერთაშორისო ფესტივალზე სახელწოდებით - "ჩემი ლამაზი ქვეყანა".

აღნიშნული შემოქმედებითი ფესტივალი წელსაც აჭარაში გაიმართა და ჩვენს გარდა მასში მონაწილეობდნენ ექვსი უცხოური ქვეყნის /ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა, სომხეთი და აზერბაიჯანი/ ხალხურ საკრავთა სამხატვრო კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

— მერწმუნეთ, ნამდვილად არ ვაჭარბებ, აღნიშნულ მასშტაბურ ფესტივალზე ანსამბლ "თხოთის" გამოსვლები განსაკუთრებული ოვაციების ფონზე მიმდინარეობდა, — აცხადებს ანსამბლის ხელმძღვანელი თამაზ დურგლიშვილი, — საამაყოთ, მეტიც, შეუდარებლები იყვნენ ჩვენი ბავშვები, ყველა მოიხიბლა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ღონისძიების ჟიური, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ანსამბლის მიერ შესრულებულ როგორც ხალხურ, ასევე, კლასიკურ ნაწარმოებებსა და საგუნდო სიმღერებს.

ამდენად, ფესტივალის ფორმატის ფარგლებში ანსამბლის დათვალიერება-მოსმენა შედგა შერჩევით ტურებში, რომელიც გაიმართა ჯერ ურეკში, შემდეგ ბათუმში. ხოლო, ღონისძიების ბოლო, დასკვნითი ნაწილი ანუ გალა კონცერტი გაიმართა ქობულეთში, სადაც ალაიანელმა მოსწავლეებმა ნამდვილი ფურორი მოახდინეს და უმაღლეს დონეზე აჩვენეს საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მარტო ჟიური კი არა, უცხოელი მუსიკოს-შემსრულებლები აღტაცებას ვერ ფარავდნენ, გაკვირვებულნი თვალს ვერ აშორებდნენ პატარა შემსრულებლებს, თუ როგორი ენერგეტიკით, მოხდენილად, გასაოცარი საშემსრულებლო მანერით უცვლიდნენ ერთმანეთს ანსამბლის წევრები ხალხურ ინსტრუმენტებს: ფანდურს, დოლსა და სალამურს...

ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ, დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ სცენაზე ანსამბლის / ლოტბარი დავით გაჩეჩილაძე, რომელმაც ბევრი იშრომა წარმატების მისაღწევად/ წევრები: თორნიკე გრიგოლაშვილი, სოფო ბერბიჭაშვილი, მარიამ და დონარ ფეიქრიშვილები, დავით კვაშილავა, კახაბერ ხოდელი, გიორგი გელხაური, თათია ტალახაძე, გელა ხარხელი, მაგდა, ლიზი და ნინი ოდოსაშვილები, ლიკა პეტრიაშვილი, მარიამ გურეშიძე, ანი ალავერდაშვილი, მამუკა ფოლადიშვილი, ცოტნე ხლუსიძე, ლივია დავლაშელიძე, გიორგი გიანაშვილი, ანდრია და მარიამ გოჩაშვილები, ანი კოტორაშვილი, დათო ნიაური, გიორგი გიგაური, ლიკა ზვიადაური. მარტო სცენაზე კი არ გამოირჩეოდნენ აქაური მოსწავლეები, მთელი კვირის განმავლობაში, ღონისძიებებსა თუ კულუარულ შეხვედრებზე, პირადულ საუბრებში ღირსეულად ეჭირათ თავი და შესაშური თავაზიანობით ხიბლავდნენ ყველას...

ფესტივალზე "თხოთის" ტრიუმფატორი სოლისტი გახლდათ 6 წლის ანდრია ბეჟუაშვილი, რომლის გამოსვლამ განსაკუთრებული ოვაცია და აპლოდისმენტები დაიმსახურა, მეტიც, გამოუცდელმა ბიჭუნამ არნახული დამაჯერებლობით, გაბედულად აჩვენა /ქართული ხალხური სიმღერების პოპური/ დამსწრე საზოგადოებას სალამურზე დაკვრის ბრწყინვალე შესრულება...

დაბოლოს, საამაყო და უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ანსამბლი "თხოთი" დაჯილდოვდა ბავშვთა და მოზარდთა ხალხური შემოქმედების XXVI საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის დიპლომით, რომელიც მას საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისთვის გადაეცა.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

როგორ დავიცვათ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ნიმუშები

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ლექცია-საუბარი თემაზე — "როგორ დავიცვათ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ნიმუშები დაზიანებისაგან". შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, რესტავრატორი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი ნინო კიტოვანი... ლექციას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: არქიტექტორი ვახტანგ შატბერაშვილი, მაია კიტოვანი, ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის მენეჯერი სოფიო ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი და მუზეუმის ექსკურსიამძღოლი თეონა ბეინაშვილი.

ლექცია-საუბარმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა გულითადი მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და შეხვედრის მონაწილეებს საინტერესო ლექცია-სწავლებისათვის და გამოთქვა იმედი, რომ ანალოგიური ღონისძიებები ხშირად გაიმართება მუზეუმში. ღონისძიებას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე.

შეუცნობლის კვალდაკვალ

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი." საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ ,,ფენომენს,, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

სტადიონზე მარტო ვაჟები არ არიან...

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების /1979 წლიდან მოყოლებული/ ბოლოს სამთავისში ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება ბავშვთა საფეხბურთო ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რაიონში კარგად ცნობილი სპორტსმენი, იმჟამინდელი კასპის "განთიადის" წარმატებული ფეხბურთელი დავით კობაური და ამ ორმოცწლიანმა საფეხბურთო გამოცდილებამ ბევრი საინტერესო შტრიხით გაამდიდრა სოფლის სპორტული ცხოვრება. მას შემდეგ სამთავისელმა ფეხბურთელებმა /ყველა თაობის/ თავიანთი სპორტული მიღწევებით მარტო სოფელს კი არა, რაიონსაც გაუთქვეს სახელი და ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრეს...

სოფელი ამაყობს სახელოვანი ბიოგრაფიის მქონე სპორტული სივრცით და მომდევნო წლებში, უფრო და უფრო ხელშესახები, საამაყო გახდა სამთავისელი ფეხბურთელების დამსახურება. სამთავისის სტადიონზე გამოწრთობილი სპორტსმენები, მათ შორის: ლევან ისერგიშვილი დღესაც თამაშობს უმაღლეს ლიგაში /ვითა ჯორჯია/, ოთარ გამხიტაშვილი გაწევრიანებულია მოყვარულთა ნაკრებში, დევი ქენქაძე ახლაც თამაშობს როსტოვის გუნდში, ხოლო თემურ ილურიძე და ოთარ ბოლოთაშვილი გორის კადეტთა ნაკრების ღირსებას იცავენ...

დღეის მდგომარეობით კი, სამთავისში სულ სამი საფეხბურთო ჯგუფია, ორი, ვაჟების და ერთიც, გოგონათა /10 წევრიანი/ ჯგუფი. სხვათა შორის, 2008 წლიდან მოყოლებული 2011 წლის ჩათვლით ბევრი გოგონა დაინტერესდა და დაიწყო ფეხბურთზე სიარული, ამიტომაც შეიქმნა იმის წინაპირობა, რომ 2008-2009 წლებში ჩამოყალიბებულიყო გოგონათა საშეჯიბრო გუნდი, სადაც ბევრი საინტერესო და პერსპექტიული ფეხბურთელი გოგონა აღიზარდა.

— ყველას კარგად მოეხსენება, თუ რაოდენ საპასუხისმგებლო და ანგარიშგასაწევია ერთდროულად ამდენ ბავშვთან მუშაობა და ამდენად, ნათლად დავრწმუნდი იმაში, რომ აუცილებელი გახდა კიდევ ერთი ახალი მწვრთნელის დამატება, სხვათა შორის, ჩვენი მოსაზრება გაითვალისწინა სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა შოთა გოგიაშვილმაც და ეს საკითხი მოგვარდა, გვყავს ახალი მწვრთნელი, ჩვენსავე სტადიონზე აღზრდილი გოგიტა ილურიძე, რომელიც წლების განმავლობაში თამაშობდა უმაღლეს ლიგაში და უამრავი სახელოვანი ტიტულისა და ჯილდოს მფლობელიც გახლავთ.

ახალი მწვრთნელის, გოგიტა ილურიძის მოსვლისთანავე მზრუნველი ხელი დაეტყო აქაურობას, ბავშვებსაც. მისმა მოსვლამ ყველა ძალიან გაახარა, დიდი თუ პატარა დარწმუნებულია, რომ ეს ახალგაზრდა კაცი შესანიშნავად გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, დაიცავს და საგულდაგულოდ მოუვლის სოფლის სტადიონსაც და კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება სამთავისელი ფეხბურთელების მიღწევები... ახალი მწვრთნელი გოგიტა ილურიძე ამ ეტაპზე უკვე ხელმძღვანელობს საშეჯიბრო ჯგუფს /2003-4-5 წლებში დაბადებული/, რომელიც იმედის მომცემი, პერსპექტიული ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული და ჯგუფმა თავი გამოიჩინა აფხაზეთის ჩემპიონატზე, წარმატებით იასპარეზა და დღეს პირველ-მეორე ადგილს იყოფს დიდუბის საფეხბურთო სკოლასთან...

მოგეხსენებათ, ახლა საზაფხულო არდადეგებია და მოსწავლეებს, რა თქმა უნდა, შინ "ნებივრობისათვის" მეტი დრო აქვთ, თუმცა, ახლა სამთავისის სტადიონზე ყოველ დილა-საღამოს ბავშვების ნაკადი არ წყდება, მეტიც, მთელი სოფლის ახალგაზრდობა აქ იყრის თავს... სავარჯიშოდ მოდიან ჯგუფებში ახლადგაწევრიანებული ბავშვები, რაც მთავარია, დღეს არ ტოვებენ, ინტენსიურად ემზადებიან საშეჯიბრო ჯგუფის ფეხბურთელები, რადგან სექტემბრის მეორე ნახევრიდან განახლდება აფხაზეთის ჩემპიონატი, სადაც სხვებთან ერთად წარმატების მოსაპოვებლად თავს არ დაზოგავენ სამთავისელი ფეხბურთელები.

საფეხბურთო სკოლის მესამე თაობა



მარტო სასირეთის კი არა, მეზობელი სოფლების საჯარო სკოლები, მთელი პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები და მათი მშობლები უკვე მრავალი წელია, ეფექტიანად მონაწილეობენ რაიონის საფეხბურთო ცხოვრებაში. რასაკვირველია, მოზარდების ამ განსაკუთრებულ მონდომებას, სპორტულ მიღწევებს ძალიან უწყობს ხელს სასირეთის საფეხბურთო სკოლის /12 წელია ფუნქციონირებს/ გააზრებული და გეგმაზომიერი, კარგად ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა, რომელიც წლიდან წლამდე იხვეწება...

მოკლედ, ფეხბურთელების მიღწევების შესახებ მარტო აქაურებმა კი არა, რეგიონშიც კარგად იციან. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გუნდმა დამსახურებულად მოიპოვა შიდა ქართლის ჩემპიონობა, არადა, ეს არ გახლავთ ახალგაზრდა სპორტსმენების ერთადერთი ტიტული, მათ სპორტულ ბიოგრაფიას კიდევ სხვა არაერთი პრესტიჟული ჯილდო ამშვენებს.

— მომავალი წარმატებების მიღწევის იმედი ნამდვილად არსებობს, ჩვენი საფეხბურთო სკოლის მესამე თაობა, რომელიც დაკომპლექტებულია 2006-2007 წლებში დაბადებული ბავშვებით ახლაც წარმატებით აგრძელებს წლების წინ დაწყებულ სპორტულ ესტაფეტას და კვლავაც მოწოდების სიმაღლეზეა, — აცხადებს გუნდის მწვრთნელი ზურაბ ბეჟიტაშვილი, — ინტენსიურად, უდიდესი ენთუზიაზმითა და გამარჯვების სურვილით ვარჯიშობენ ბიჭები, დიახ, რეჟიმი და გუნდში დანერგილი დისციპლინა ხალისით აღავსებს სპორტსმენებს, თქვენ წარმოიდგინეთ, საინტერესოს ხდის, ალამაზებს მათ ყოველდღიურობასაც.

როგორც პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლების, ახლობლების საუბრებიდან ირკვევა და საზოგადოების უდიდესი ნაწილის დიდი თხოვნაცაა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან დაიწყოს 2010-2011 წლებში დაბადებული ბავშვების სკოლაში მიღება. სხვათა შორის, საფეხბურთო სკოლაში მისვლის უამრავი მსურველია სასირეთის ახლომდებარე სოფლებშიც და როგორც ცნობილი გახდა ბავშვები მოუთმენლად ელოდებიან სასწავლო წლის დაწყებას... ეს გახლავთ ერთგვარი მტკიცე პირობა იმისა, რომ ბავშვები იზრდებოდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესით, მშვიდ და დადებითად დამუხტულ გარემოში და ბუნებრივია, როდესაც მოზარდი დაკავებულია სპორტით, ყოველდღიურად იცავს რეჟიმს, არ აცდენს საწვრთნელ ვარჯიშს, ნაკლებად არსებობს იმის ალბათობა, რომ გზას ასცდეს, ისიც ხომ კარგად არის ცნობილი, რომ სტადიონს უდიდესი "მიზიდულობის" ძალა გააჩნია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი სრულყოფილი, მოვლილი და გაკეთილშობილებულია...

დაინახე შენი ქვეყნის ისტორია

სასწავლო წლის დასრულებისთანავე, ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის /მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი/, მხარეთმცოდნეობის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ მოსწავლეებმა ჩაატარეს ტრადიციული, ყოველწლიური გასვლითი ღონისძიება /მარშრუტით: კასპი-ქვემო ჭალა-სამთავისი-გრაკლიანი გორა-მაცხოვრის ეკლესია/, რომლის მიზანი გახლდათ მშობლიური კუთხის მონახულება, ისტორიული ძეგლების, უძველესი წარწერებისა და ფრესკული მხატვრობის ნიმუშების გაცნობა.

მოსწავლეთა სახლის პედაგოგებთან ნანა მერებაშვილთან, მანანა ყაბანაშვილთან და მშობლებთან ერთად ექსკურსანტებმა თავდაპირველად მოინახულეს ქვემო ჭალის ამილახვრიაანთ სასახლე და კარის ეკლესია, სადაც უფლის სადიდებელი ლოცვა ემოციურად წარმოთქვა მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლემ მიხეილ სამხარაძემ.

არაჩვეულებრივი, ძალიან საინტერესო იყო მოსწავლეების მიერ გამართული ლიტერატურული წარმოდგენა, სალომე სამხარაძემ, ქეთევან ჭალისურმა, ლუკა და მარიამ მერებაშვილებმა, ნინო ბერუაშვილმა, ნანა ილურიძემ, თამარ გოჭოშვილმა, მარიამ თიგიშვილმა, თემურ ირემაშვილმა და ანზორ დალაქიშვილმა ემოციური მუხტითა და სულისკვეთებით წაიკითხეს ქართული პოეზიის შედევრები, რომელიც ძალიან შვენოდა, საგალობლებივით ჟღერდა ამ წმინდა კედლებში.

მერე კი პედაგოგმა ნანა მერებაშვილმა ბავშვებს ძალიან საინტერესო ისტორია მოუთხრო ამილახვართა წარმომადგენლებზე, კერძოდ, გივი პირველად წოდებულ ამილახვარზე, მის ძმა ნიკოლოზზე, რომელიც კათალიკოსიც იყო, ისაუბრა აგრეთვე, ქართველთათვის საამაყო დიმიტრი ამილახვარზე /დიმიტრი "ბაზორკად" წოდებული/, საფრანგეთის არმიის უცხოური ლეგიონის პოლკოვნიკის ეროვნულ გმირზე...

შთამბეჭდავი იყო წმინდანებად შერაცხული ძმების, კარბელაშვილების ადგილ-მამულის მონახულება. ამ ისტორიული სახლის დათვალიერება-გაცნობაში ბავშვებს მეგზურობა გაუწია კარბელაშვილების ოჯახის ნდობით აღჭურვილმა პირმა, ქვემო ჭალის მკვიდრმა ქალბატონმა ნათელა ჟივიძემ, რომელმაც ბავშვებს აჩვენა კარბელაშვილთა ოჯახის ძველისძველი ნივთები, მარანი, ფოტოები, შემდეგ კი, საინტერესოდ მოუთხრო წმინდანი ძმების ღვაწლსა და დამსახურებაზე.

ექსკურსიამ ახლა სამთავისის ტაძარში გადაინაცვლა. ბავშვებმა ნახეს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძველი ნატაძრალი და ფილიმონ კარბელაშვილის განსასვენებელი... მოსწავლეებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა გრაკლიანი გორაზე აღმოჩენილმა წარწერამ, რომელიც ყველაზე ადრეულად მიიჩნევა და ქართული დამწერლობის 3.000 წლის ისტორიას ითვლის, ყურადღება მიიპყრო ტერასებზე გაშენებულმა ნასახლარებმა, სხვათა შორის, მოსწავლეები გაესაუბრნენ გრაკლიანი გორაზე მომუშავე არქეოლოგებს, დიდი ინტერესით მოისმინეს მათი განმარტებები, რომელთა თქმით, გრაკლიანი გორაზე ადამიანის განსახლებას მილიონობით წლის ისტორია აქვს და სავარაუდოდ აქ მცხოვრები საზოგადოება ეკონომიურად და კულტურულად უაღრესად დაწინაურებული ყოფილა...

გასვლითი ღონისძიება დასრულდა კასპის მაცხოვრის ეკლესიაში, სადაც ექსპრომტად ჩატარდა ვიქტორინა რელიგიურ და შემეცნებით თემებზე "ვიცოდე მეტი ჩემი კუთხის შესახებ", თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვებთან ერთად ამ საინტერესო თემების განხილვაში აქტიურად ჩაერთვნენ მშობლებიც, რომელთა შორის იყვნენ მაია გოჭოშვილი, ნინო სამხარაძე-ილურიძე, ნინო ნონიაშვილი და მოსწავლეების მარიამ და ლუკა მერებაშვილების დედა თამარ ფანჩვიძე-მერებაშვილი, რომელიც წლების მანძილზე განსაკუთრებულად აქტიურობს, არ გამოუტოვებია არც ერთი ღონისძიება, საგულდაგულოდ ადევნებს თვალყურს ბავშვებს, ეხმარება პედაგოგებს და უდიდესი მონდომებითა და რუდუნებით აგროვებს მხარეთმცოდნეობის წრის მუშაობის ფოტო-ვიდეო მასალას...

უდაოდ შინაარსიანად დასრულდა მშობლებთან ერთად ჩატარებული საზაფხულო შეხვედრა, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა მთელი წლის მანძილზე გაწეული აქტიური დახმარებისათვის მადლობა გადაუხადეს სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორს ქალბატონ ლალი ჯანჯალაშვილს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერს ქალბატონ ლელა პეტრიაშვილს. ექსკურსანტებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ავტომანქანის მძღოლს ჯაბო წიკლაურს, რომელმაც ბავშვებს ყველა სურვილი შეუსრულა და შინ მშვიდობით დააბრუნა.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

ვიმეგობროთ

... თუ მშობლებს არ სცალიათ

კარგა ხანია ვფიქრობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გასაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ცინებებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე გუშინ და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და მალულ საგანძურებზე...

წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გველოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიწეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დაგვისვით თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს.

,,ბეხურა,,



მარადიული ხსოვნა კაი ყმისა

ზურაბ მუზაშვილი – დღევანდელობის გმირი!

ქართული ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე, სახალხო და პიროვნული ურთიერთობისათვის დამახასიათებელი შტრიხია, რომ ზოგჯერ სოფელი გაუთქვამს სახელს თავის წიაღში დაბადებულ ადამიანს, ხოლო უფრო ხშირად თვითონ კონკრეტული პიროვნების გახმაურებული სახელი განადიდებს სოფლისასაც...

სოფელი ალაიანი ძველთაგანვე მატარებელია ქართული სულისკვეთებისა, მას საკუთარ სანახებში დღემდე შემოუნახავს არაერთი ისტორიული, არქიტექტურული თუ კულტურული ძეგლი.

და მაინც, ალაიანის უმთავრესი სიმდიდრე და საგანძური თვითონ ადამიანები იყვნენ და არიან. აგერ, ეს სოფელია ჩვენი დროების გმირის, გაფეტიშებული საზოგადოებისათვის რამდენადმე გაიშვიათებული სამოქალაქო ვალის ზნეობრივად აღმსრულებელი და ამაღლებული ვაჟკაცის, წარმომშობელი – მეხანძრე-მშველელი და უცხოთათვის (ადამიანთათვის!) სიცოცხლემჩუქებელი ზურაბ მუზაშვილისა – ვინც ჭეშმარიტი შვილი შეიქმნა მშობლიური სოფელ-ქვეყნისა!

ქართველი რიგითი ვაჟკაცი, ჯერაც 38 წლის ასაკში, პროფესიულად განდიდებული მოქცევით გაშორდა კონკრეტული ერთი ოჯახის, გვარის, სამსახურის, სამეგობროს, სოფლის კუთვნილების დადგენილ-დაუდგენელ ჩარჩოებს და, უფრო მეტიც, მისი სახელი განსახიერდა და განზოგადდა ერთიანი სამოქალაქო საზოგადოების განზომილებაში, ანუ – გადაიქცა საკუთარი ხალხისათვის მსახურებისა და თავდადების, ერთგულებისა და უღალატობის სხივოსან ნიშანსვეტად, იშვიათობის კლასიკურ მაგალითად!

ზურაბ მუზაშვილის მარადისობაში გადასულმა სახელმა უდიდესი პატივგების გრძნობით დაივანა არა მარტო მათ გულებში, ვისაც 2015 წლის 13 ივნისის თბილისური ღამის ბუნებრივი სტიქიისას ხელმეორედ უბოძა ზენაარისაგან ერთხელ უკვე მიცემული სიცოცხლე, არამედ ყველა ახლობლისა და მეგობრის, ბევრი ნაცნობისა და უცნობის ქვეცნობიერში. ეს მხოლოდ ჭეშმარიტად რჩეულთა ხვედრია, რადგანაც მხოლოდ ერთეულებს ხელეწიფებათ იყვნენ გარშემომყოფი ადამიანების მშველელები და სიცოცხლემჩუქებლები! ეს იგივეა, რაც საომარსაბრძოლო ვითარებაში გამოვლენილი უდრეკლობა სულისა, რაინდული ერთგულება მამულისა და დროშისა, პირგაუტეხლობა ქართული მიწის დასაცავად დადებული სამხედრო ფიცისა!

დიახ, ასეთი გახლავთ გასაოცარი გამონათება მწარე რეალობიდან: ზურაბ მუზაშვილმა შეძლო შეუძლებელი, იგი ამაღლდა ადამიანურ შესაძლებელ სამოქმედარზე – და მან, განგმირულმა, ეს მოიმოქმედა პირადი თავგანწირვით, სამსახურებრივ-პროფესიული პასუხისმგებლობითა და ერთგულებით – თავისი მოყვასისა და თანამოქალაქეთათვის.

... 2016 წელს, გმირის მამაცური დაღუპვიდან გასულ წლისთავზე, ზურაბ მუზაშვილი დაჯილდოვდა (სიკვდილშემდგომ) მედლით “სამოქალაქო თავდადებისათვის”; ასევე, ქ. თბილისში (ვაკის რაიონში) დამისამართდა “ზურაბ მუზაშვილის ქუჩა”...

2018 წლის აგვისტოში მის მშობლიურ სოფელში, სადაც სწავლობდა სკოლაში და ვარჯიშობდა სპორტში (ჭიდაობაში), გაიხსნა საჭიდაო დარბაზი და მიეკუთვნა მისი სახელი; სოფლის ცენტრში მოწყობილ მემორიალურ სკვერში, მისი გვარ-სახელიც ამოიკვეთა მარმარილოს ობელისკზე.

მშობლიური ალაიანის თბილ და მადლიან მიწას მიბარებული გმირი ვაჟკაცის საფლავზე ერთ-ერთ ქვაზე მოკლე ეპიტაფიაა: “მადლობა ზურაბს!” – მრავლისმთქმელი წარწერაა მადლიერი მომგონებლებისაგან. მეტყველია სამადლობელი თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეთა მიერ გაწყობილ სტენდზე: – “ჩვენ გვახსოვს!..”

დიახ, ჩვენ გვახსოვს ზურაბ მუზაშვილი!

ყველა შემთხვევაში, უეჭველად, უნდა გვახსოვდეს ჩვენი დროების გმირები – მამულის ერთიანობისა და სამოქალაქო საზოგადოების კეთილდღეობისათვის თავდადებული ვაჟკაცები!

p.s. 2019 წლის 21 აგვისტოს სოფელ ალაიანში, ზურაბ მუზაშვილის სახელის უკვდავსაყოფად მეოთხედ გაიმართა ახალგაზრდული სპორტული ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა გმირის დაბადებიდან 42-ე წლისთავს.

ასპარეზობა მოეწყო კასპის სპორტული კომპლექსის დირექციის პატრონაჟით და ადგილობრივი სპორტის ქომაგების მხარდაჭერით.

რომაული არდადეგების სიურპრიზი მეხუთეკლასელი ნათიასაგან

კასპელი ნათია ნონიაშვილი 2019 წლის ივლისის ევროპულ საერთაშორისო ტურნირის, “რომის თასის” გათამაშების, მე-2 პრიზიორი მხატვრულ ტანვარჯიშში! - ქ. კასპის პირველი საჯარო სკოლის მე-5 კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ, დასტურ, ლეხურისპირული პატარა ქალაქის დიდ სასპორტო მატიანეში საკუთარი სახელი ჩაწერა აქაურ ქალთა სპორტის სასახელო გამარჯვებათა ნუსხაში. ამასთან, მან ეს მოახერხა ჩვენებურთათვის, ნამდვილად, სპორტის არატრადიციულ სახეობაში - ტანვარჯიშში. დიახ, კასპელმა ვარსკვლავგოგონამ 2019 წლის 6-7 ივლისს, როცა ისის იყო, სასკოლო არდადეგები დაიწყო, იტალიის დედაქალაქში გამართული ასპარეზობისას, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლისას, შესაშური სიზუსტით შეასრულა საპროგრამო ვარჯიშები და “რომის თასის” გასათამაშებელი შეჯიბრების საპატიო კვარცხლბეკის მე-2 საფეხურზე სახემწყაზარი ფერიისამებრ მოიწონა თავი! მან პირადი მწვრთნელის, ქ-ნი ვალენტინა კუზმიდის, არჩევანიც გაამართლა და დიდი ნდობაც, ამიტომ მისგან მოფერებაც დაიმსახურა და შექებაც, ნათია მასთან ქ. თბილისში ვარჯიშობს, “ლაგუნა-ვერეზე” არსებულ ტანვარჯიშის სკოლაში... მისი პაპა, კასპის სპორტული კომპლექსის ტექნიკური მუშაკი, პავლე ნონიაშვილი, ახლა სიამაყით იხსენებს, თუ როგორ შეამჩნია შვილიშვილის მხატვრულ-ფიზიკური მიდრეკილება ტანვარჯიშისადმი და ყველაფერი იღონა საიმისოდ, გოგონა საიმედო ხელში აღმოჩენილიყო! კარგია, რომ მას გუმანმა გაუმართლა... უფრო კი ის გვეიმედება, რომ პავლე პაპას მომავალში საყვარელი შვილიშვილი უამრავჯერ გაახარებს.

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები.
ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში. ,,კეხურა,, ელოდება გამოხმაურებას.

კასპის სპორტული კომპლექსი

17 წლის ლუკა ორბელაშვილი - ევროპის რეკორდსმენი

გაიცანით სპორტული აგვისტოს გმირი, კასპელი 17 წლის ჭაბუკი ლუკა ორბელაშვილი - ევროპის 2019 წლის ჩემპიონი წოლჭიმში (ძალისმიერი სამჭიდის სახეობაში) 19-წლამდელთა შორის. ა. წ. 7-10 აგვისტოს ლუქსემბურგის ქ. ჰამში გამართულ საევროპო ჩემპიონატში საქართველოს პაოლიფტინგელი ჭაბუკების 3-კაციანმა გუნდმა იასპარეზა. ერთი მათგანი გახლდათ ჩვენებური ყმაწვილკაცი, სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე.

ლუკა დაბადებულია 2002 წლის 18 აპრილს, მაგრამ, მცირე ასაკის მიუხედავად, წარმატებით გამოდის 19-წლამდელებთან პაექრობაში: 2017 წელს საქართველოს ჩემპიონობა პირველად 15 წლისამ მოიპოვა, 2018 წლის მაისის ჩემპიონატში 95 კილოგრამის დაძლევით პირადი რეკორდი დააფიქსირა (59 კგ-ის კატეგორიაში), ხოლო 2019 წლის თებერვალში პირველობა კვლავ ახალი რეკორდით - 115 კილოგრამით - მოიგო! ნახტომით ევროპული საგზური მოიპოვა და, აგერ, ლუქსემბურგიდან სულაც ერთიანი ევროპის რეკორდი მოინადავლა - მანამდე არსებული “თამასა” (127,5 კგ) 130-მდე დაამძიმა და ბებერი კონტინენტის რეკორდს საქართველოს საგზური გამოუწერა!..

წლოვანებიდან გამომდინარე, ლუკას მინიმუმ 2-ჯერ კიდევ შეუძლია 19-წლამდელებში ტოლსწორად გამოსვლა, მერე კი სულაც ახალ ასაკობრივ საასპარეზო არენაზე გაინადირებს! რატომაც არა?!

არადა, სულ სამიოდე წელია, რაც კასპის სპორტული კომპლექსის (დირექტორი - გიორგი ნიპარიშვილი) ათლეტკლუბში ვარჯიშობს გიორგი მერებაშვილის ხელმძღვანელობით. ვულოცავთ მწვრთნელსაცა და შეგირდსაც!

გილოცავთ!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს ქალბატონ გიული სოზიაშვილს ვულოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს!

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, საფიცარი სამშობლოს სამსახურში ჩვეული ენერგიით გარჯას. მრავალს დაესწარით!

გაზეთი "ახალი განთიადი".

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს გიული სოზიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას საყვარელ ოჯახთან ერთად.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია.

ხსოვნა

ზურა გოგოლაძე

სამყაროს დაბადებიდან მოყოლებული ადამიანები ეძებენ პასუხს კითხვაზე რა არის იქ - საიქიოში? იქ სადაც თავს იყრის ამქვეყნიური ცხოვრების ცოდვა-მადლი... ნეტა მას ვინც შეძლო საკრალური რუბიკონის გადალახვა, სასიკეთო კვალი დატოვა აქაც და იქაც, სამარადისო სამყოფელში სიმშვიდით განისვენა...

ყოველი სექტემბერი შენთან განშორების ფერით შემოდის. ვერ ვიშორებთ მოგონებებს და ფიქრებს - როგორი გულიანი, თბილი და ერთგული იყავი... როგორ ახერხებდი სულ გვერდით ყოფნას, როგორ გვეიმედებოდა შენი სითბო და სიყვარული... მერე ის ავბედითი 5 სექტემბერი...

ამ მაისს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე გექნებოდა... ჩვენ სულ ახალგაზრდა გვახსოვხარ... ყოველ შენს გახსენებაზე სითბო გვეღვრება გულში... ჩვენ მონატრებას ვერაფერი დააკლო დრომ ...

დეიდაშვილები.

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ელექტრო შემკეთებლის სტაჟიორი,
2. გრეიფერული ხიდური ამწის ოპერატორი.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხელზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 6 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

გამოსათხოვარი

ვალტერ აბაშიძე

განათლებითა და თავდაჭერილობით გამორჩეული, სულითხორცამდე ინტელიგენტი, მაღალი რანგის ეკონომისტი ვალტერ აბაშიძე სამოცდაათიანი წლების ბოლოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოვიდა კასპში. ერთხანს საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა, ხოლო შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე იყო საქციო საზოგადოება /ყოფილი წვენების ქარხნის / "საქართველოს ნატურალურ პროდუქტთა კომპანიის" დირექტორის მოადგილე ტექნიკურ დარგში.

... მარტო მშობლიურ საწარმოში კი არა, მთელ რაიონში და არა მხოლოდ აქ, ბევრს ესახელებოდა, მეტიც, ეამყებოდა მასთან კოლეგიალური თუ საქმიანი ურთიერთობა, უბრალოდ ადამიანური სიახლოვე.

23 აგვისტოს ორმოცი დღე შესრულდა, რაც ბატონმა ვალტერმა დაგვტოვა და მარადისობას შეუერთდა... თავზარდამცემი, ისეთი მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალების ამბავი, რომ ბევრმა არც კი იცოდა, ვალტერ აბაშიძე თვეების განმავლობაში ჩვეული სიმშვიდითა და მოთმინებით ებრძოდა უმძიმეს განუკურნებელ ავადმყოფობას.

ყველას გული ატკინა მისმა უდროო სიკვდილმა, ყველამ გულით დაიტირა და სინანულით გააცილა უკანასკნელ გზაზე, იმიტომ, რომ მან ყველასთან სიკეთე, კარგი კაცობა დატოვა... ვალტერ აბაშიძე გახლდათ კოლეგების, თანამოაზრეებისა და საახლობლოს წინამძღოლი, ყველას ჭირვარამის გამზიარებელი, პატივისცემითა და მოწიწებით იხსენებენ მას, როგორც თავაზიან, გამჭრიახ და შეუდარებელ ხელმძღვანელს, უღალატო, ერთგულ ადამიანს... ბატონმა ვალტერმა დატოვა ჩინებული ოჯახი, ერთგული მეუღლე და სანაქებო შვილები, შვილიშვილები, მოსიყვარულე ძმა, საახლობლო და დიდი სამეგობრო...

ჩვენო ვალტერ, ჩვენო ერთგულო და ძვირფასო ადამიანო ვერ ვეგუებით შენს უდროოდ დაკარგვას, ძალიან გვაკლიხარ, სიყვარულით გიხსენებთ და არასოდეს დავივიწყებთ შენს ამაგს...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული!

საქციო საზოგადოება "საქართველოს ნატურალურ პროდუქტთა კომპანია".

დოღნიგ ცხბოვშვო ბაღიგ რეაბილიტაცია

სოფელ დოესში გრძელდება ორსართულიანი საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შენობაში დასრულებულია სასმელი წყლის და წყალარინების სისტემის მოწყობის, კარ-ფანჯრების შეცვლის, ცენტრალური გათბობის გაყვანილობის, შიდა და გარე ფასადის შელესვის და სხვა სამუშაოები.

ამჟამად, შიდა და გარე ფასადების სამღებრო სამუშაოები მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებიდან მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სრული რეაბილიტაცია და აღსაზრდელებისათვის სათანადო პირობების შექმნა, - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა.

სოფლის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ინდ. მეწარმე კახა დათაშვილი ახორციელებს, სამუშაოს ღირებულება 333 278 ლარია და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოჩიტაშვილს დედის მაყვალა რუსიტაშვილის გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოჩიტაშვილს დედის მაყვალა რუსიტაშვილის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ კასპის სპორტკომპლექსი თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოჩიტაშვილს დედის მაყვალა რუსიტაშვილის გარდაცვალების გამო..

ბელა კობიაშვილი თანაუგრძნობს გოჩა და მაია გოჩიტაშვილებს დედისა და დედამთილის მაყვალა რუსიტაშვილის გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოჩიტაშვილს დედის მაყვალა რუსიტაშვილის გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოჩიტაშვილს დედის მაყვალა რუსიტაშვილის გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოჩიტაშვილს დედის მაყვალა რუსიტაშვილის გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოჩიტაშვილს დედის მაყვალა რუსიტაშვილის გარდაცვალების გამო.

ციმი, ომარიკო და მიშა კელაპტრიშვილები თანაუგრძნობენ გოჩა გოჩიტაშვილს დედის მაყვალა რუსიტაშვილის გარდაცვალების გამო.

გურამ ქარქაშაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა სულითა და ხორცით დიდებული ქართველი, ყველასთვის სასურველი პიროვნება, ოჯახის ახლო მეგობარი

ვალტერ აბაშიძე,

ღმერთმა აცხონოს და გაანათლოს მისი სული, თანაგრძნობას ვუცხადებ ოჯახს მისი გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოჩიტაშვილს დედის მაყვალა რუსიტაშვილის გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76